პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 228 (3712)

21 1968 წ. ნოემბერი. ხუთშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო ჟამინდელი

◆ ქაირო, 20 ნოემბერი. ბოლო, მეხუთე მატჩი გამართა აქ რუსეთის ფედერაციის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა. სტუმრების შეხვედრა „აპლისა“ და „ზამალეკის“ კლუბების ნაკრებთან დამთავრდა ფრედ — 0:0.

◆ ლონდონი, 20 ნოემბერი. ევროპის ჩემპიონთა თასის 4-გზის მფლობელებმა, მადრიდის „რეალის“ კალათბურთელებმა წარმატებით ითამაშეს თასის მორიგი გათამაშების პირველი მატჩი. ზათ ანგარიშით 103:59 დაამარცხეს ინგლისის ჩემპიონი „ოლდერშოტ ვერიორსი“. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ესპანელთა გუნდში მოთამაშე, ამერიკელი ვ. ბრაბენდერი, რომელმაც თავის გუნდს 36 ქულა მოუტანა. მცირე ხნის შემდეგ გათამაშებაში ჩაებმება მოსკოვის ცსკა.

◆ კარლ-მარქს-შტადტი, 20 ნოემბერი. გდრ-ის ქალაქში დამთავრდა ფიგურისტთა საერთაშორისო შეჯიბრება. ქალთა სრიალში ყველას აჯობა მასპინძელმა ს. მორგენშტერნმა, ცეკვებში — საბჭოთა წყვილმა — ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა.

◆ კიშინიოვი, 20 ნოემბერი. აქ მწყობრში ჩადგა მძლეოსნური მანეჟი. სპორტსმენებმა მიიღეს სამი 85-მეტრიანი სარბენი ბილიკი, სიგრძეზე ხტომის სექტორები.

ჩემპიონის ორი შეხვედრა

ნოვოსიბირსკელი არმიელი მოჭიდავის ტრისტან ნავერიანის შეხვედრა სარატოვის „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელ გ. აბდულინთან დაძაბული უნდა ყოფილიყო. გამოცდილი სპორტსმენი, შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებული აბდულინი წარმატებაში წინასწარ დარწმუნებული იყო.

და აი, მსაჯებმა მეტოქეები ხალიჩაზე გაიწვიეს. ბრძოლა დაიწყო. რვა წუთის მანძილზე უპირატესობა გარდამავალი იყო. მეტოქეები ერთმანეთს ამოწმებდნენ.

შეხვედრის დასასრულისთვის ტრისტანმა მთელი ძალა მოიკრიბა და მაინც დაისაკუთრა გამარჯვება.

ნავერიანმა ეს ორთაბრძოლა საბჭოში სვერდლოვსკში მოიგო 1962 წელს, რუსეთის პირველობაში და ჩემპიონობა მოიპოვა. მაშინ მასთან წააგეს ურალელმა ა. სტოლბოვმა და ორჯონიკიძის დინამოელმა სპორტის ოსტატმა ი. ავეტისიანმაც.

მას შემდეგ კარგა დრო გავიდა. და აი, არმიელი და სარატოველი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ტრისტანს ახლა მეტი გამოცდილება ჰქონდა და უფრო დამაჯერებლად იბრძოდა. მისი ილეთები უფრო დახვეწილი იყო, ტექნიკა და ტაქტიკა უფრო მრავალფეროვანი. მაგრამ სარატოველმა ძველი შეცდომები გაითვალისწინა.

ბრძოლა თავიდანვე მწვავედ წარიმართა. ტრისტანმა პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა. უკვე იგრძნობოდა მისი საკუთარი „ხელწერა“. რუსეთის ჩემპიონის ტიტული ამჯერადაც ნავერიანს ხვდა.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შარშანდელ პირველობაში მან ხუთი ორთაბრძოლა მოიგო და მხოლოდ ერთი გამარჯვება დაუთმო საბჭოთა არმიის ხუთგზის ჩემპიონს ჩიტაშვილს...

ტრისტანი საქართველოში, სვანეთში დაიბადა და გაიზარდა. ეროვნული ჭიდაობა ბავშვობიდანვე იცოდა და უყვარდა, საბჭოთა არმიაში კი ნამდვილი სპორტსმენის სახელითაც მოინათლა.

ორი წლის წინ ნავერიანმა არმიის სპორტულ კლუბში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. ახლა იგი ახალბედა სპორტსმენებს გადასცემს თავის გამოცდილებასა და ცოდნას. ისინიც იმედს უმართლებენ მასწავლებელს. მაგალითად, მისმა აღსაზრდელმა ჩელნოკოვმა წლეულს რუსეთის ჩემპიონობა მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში.

ტრისტანი დიდ დროს უთმობს ვარჯიშს, მაგრამ არც სწავლას ივიწყებს: იგი ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია.

არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, იბრძოლოს ახალ-ახალი წარმატებებისთვის, — ასეთია ზეადიანი სამსახურის სერჟანტის, სამბოში სპორტის ოსტატის, ოლქის ხუთგზის და რუსეთის ორგზის ჩემპიონის ტ. ნავერიანის დევიზი.

სექტემბერში ციმბირის სამხედრო ოლქის სამბისტების გუნდი კიევში ასპარეზობდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობაში და წარმატებაც მოიპოვა — პირველი ადგილი დაიკავა და ბრონზის თასი დაისაკუთრა. ამ წარმატებაში არმიელ სპორტსმენთა აღმზრდელს ტ. ნავერიანსაც მიუძღვის წვლილი. თავად მწვრთნელიც არ გამოსულა წარუმატებლად ამ ასპარეზობაში.

ა. დერეუზიოვი.

* * *

ხურათზე: ტ. ნავერიანი.

ფოტო ი. ობრაზცოვისა.

ქარსელაძის მემორიალის პერიპეტიები

რატომ ამჯობინა

გდრ-ის საჭადრაკო საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს გამოჩენილი გერმანელი მოჭადრაკის, მსოფლიოს მეორე ჩემპიონის ე. ლასკერის დაბადებიდან 100 წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით ბერლინში ტარდება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვა საბჭოთა დიდოსტატებთან ერთად მიწვეული იყო კიეველი დიდოსტატი ე. გუფელდიც. მაგრამ დიდოსტატი გორში ჩამოვიდა ვ. ქარსელაძის მემორიალში სათამაშოდ.

—ვიცი, რომ ბერლინის ტურნირში მეტი დიდოსტატი მოიყრის თავს, მაგრამ მაინც გორში თამაში ვამჯობინე, — თქვა გუფელდმა და ასე განმარტა თავისი გადაწყვეტილება: მე დიდ პატივს ვცემდი ქარსელაძეს და ამიტომ მსურდა მის მემორიალში მიმეღო მონაწილეობა. ამასთან შევიტყვე, რომ ტურნირში თვით მიხეილ ტალი და ჩემი „აღსაზრდელი“ ეფიმ გელერი ითამაშებენ. გამოვეშურე საქართველოში .არც იმას დაგიმალავთ, რომ საერთოდ მინდა დავსახლდე თბილისში. მეუღლე სწორედ თბილისელი მყავს.

ყველას ეშინია... ჩემოდნისა

ასეთი ჩემოდნის პატრონია ოსტატი ი. ჩიქოვანი, რომელიც მრავალი წელია დებიუტთა კარტოთეკას ადგენს. იგი მეცნიერულად ამუშავებს და აწესრიგებს სადებიუტო სისტემებს, ვარიანტებს, ტიპიურ პოზიციებს, ყველა, დიდი თუ პატარა ტურნირის პარტიებს.

ჩიქოვანთან დებიუტის თამაში ძნელია და ამიტომ მასთან თანაბარი პოზიციის მიღება ბევრს წარმატებად მიაჩნია.

როცა გააგონებენ, კართოტეკა ხელს გვიშლისო, იურის ეღიმება. მაგრამ სტარტზე ჩემოდანმა სასწაული ვერ მოახდინა: მისმა პატრონმა ჯინჯიხაშვილთან წააგო.

მეგობრების დუეტი

მემორიალში განუყრელი მეგობრების ორი წყვილი მონაწილეობს: ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩომახიძე და ა. ბოკუჩავა — ზ. მიქაძე.

პირველთანრიგოსანი მ. ჩომახიძე მემორიალის მსაჯი-მდივანია. მსაჯიც არ ყოფილა, მაგრამ თავის მეგობარს მუდამ ახლდა ბრძოლის სარბიელზე.

რიგაში, ა. კუშნირთან მატჩის დროს, მარინე ნონას არ მოსცილებია.

— იღბლიანი ფეხი აქვსო, — ამბობს მსოფლიო ჩემპიონი.

ბოკუჩავა და მიქაძე სასტუმრო „ქართლის“ ერთ ოთახში ცხოვრობენ, ერთად ემზადებიან სათამაშოდ, ერთად განიცდიან გამარჯვების სიხარულს თუ მარცხის სიმწარეს.

რატომ?

— რატომ მიეცით მუკნიაშვილს გელერთან ყაიმზე შეთანხმების უფლება? — წყენანარევი ხუმრობით მითხრა ი. ჩიქოვანმა.

საწყენი კი მართლაც იყო. გორელმა ინჟინერმა საუცხოო პოზიცია მიიღო დიდოსტატთან და მეთოდური თამაშით იგი ძალზე შეავიწროვა კიდეც. უცებ გელერმა ყაიმი შესთავაზა მუკნიაშვილს. „დიდოსტატთან ყაიმი სასახელოა“, — იფიქრა გურამაპა და დათანხმდა. პატარა ანალიზმა იქვე გამოარკვია, რომ მუკნიაშვილს მოგების რეალური შანსი ჰქონდა.

თ. ბიორგაძე,

მემორიალის მთავარი მსაჯი.

მხოლოდ ორნი...

გორი, 19 ნოემბერი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის საჭადრაკო მემორიალზე დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

საყოველთაო ინტერესს იწვევდა მ. ტალ — ე. გუფელდის გადადებული პარტია. მაგრამ იგი არ შემდგარა, რადგან გუფელდი თამაშის განუახლებლად დანებდა.. რ. ჯინჯიხაშვილი — ა. ბოკუჩავას პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ტურნირში მხოლოდ ორი მოჭადრაკე არ დამარცხებულა. ესენი არიან დიდოსტატი ე. გელერი და მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი.

ხვალ ტურნირზე დასვენების დღეა, ხოლო 21 ნოემბერს გაიმართება მორიგი ტური.

ტურნირს 3,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი. გაფრინდაშვილსა და ბ. გურგენიძეს 3-3 ქულა აქვთ.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ

ბათუმის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა კომკავშირის საიუბილეო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 7 სახეობა შედიოდა. გამარჯვებისთვის იბრძოდა „სპარტაკის“, „ვოდნიკის“, „განთიადის“, „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვებისა“ და განათლების სამინისტროს ხუთასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი.

თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს „დინამოს“ ფალავნებმა. ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებაში „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა ფინალში სძლიეს განათლების სამინისტროს გუნდს — 2:1. განთიადელმა ვაჟებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და უძლიერესის სახელი მოიპოვეს.

კალათბურთში ქალთა შორის გამარჯვებული გამოავლინა „ბურევესტნიკისა“ და სპორტსკოლის აღსაზრდელების მატჩმა. ანგარიშით 56:47 გაიმარჯვეს მომავალმა პედაგოგებმა. ვაჟებში „სპარტაკის“ ძლიერმა კოლექტივმა გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა (71:62) „ვოდნიკი“.

ცურვაში სპარტაკიადის რამდენიმე მონაწილემ პირველად შეასრულა პირველი სპორტული თანრიგი, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. ზემლიანუხინი სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივს შესწვდა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. გუნდურ ბრძოლაში გაიმარჯვეს განთიადელებმა.

მძლეოსნობაში მხოლოდ 5 სპორტსმენმა აჩვენა მეორე თანრიგის ნორმატივი. შეჯიბრებას რატომღაც თავი აარიდა „ლოკომოტივმა“. გუნდურ ჩათვლაში პირველობა დინამოელებმა დაისაკუთრეს.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ლელობურთელთა შეჯიბრებამ. ფინალში „ვოდნიკმა“ დიდი ანგარიშით (15:3) დაამარცხა „ბურევესტნიკი“.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრა „ბურევესტნიკმა“ (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი) — 59 ქულა. II ადგილზეა „სპარტაკი“ —50, III — „განთიადი“ — 39 ქულა.

ო. მურვანიძე.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ᲤᲔᲘᲥᲠᲔᲑᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲯᲝᲑᲔᲡ

„განთიადის“ სპორტულ ბაზებზე 10 დღეს მიმდინარეობდა კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპარტაკიადა.

გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ ბამბეულის კომბინატის ფიზკულტურელებს. მათ პირველი ადგილები დაიკავეს კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, თავისუფალ ჭიდაობაში, ტყვიის სროლაში, ვოლეიბურთსა და მძლეოსნობაში.

ჭადრაკში კარგად მომზადებული გუნდი წარმოადგინა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზკულტურულმა კოლექტივმა და სპარტაკიადის ჩემპიონობაც მოიპოვა.

7 სპორტსმენმა შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი, 12-მა კაცმა მეორე, ხოლო 25 მონაწილემ — მესამე თანრიგისა.

ი. თევდორაშვილი.

(ჩვენი კორ.).

გორი.

ᲥᲮᲘᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● ოსლო, 19 ნოემბერი. ხელოვნურ საციგურაოზე გაიმართა პირველი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ნორვეგიული საციგურაო სპორტის „ვეარდიელები“ — ფ. ა. მაიერი, ხ. ე. სტიანსენი, ჰ. ვ. გუტორმსენი და სხვ. ასპარეზობა მოეწყო მცირე პროგრამით — 500 და 3000 მეტრზე რბოლაში. პირველ დისტანციაზე სეზონის დასაწყისისთვის არც თუ ცუდი შედეგით (42,2) გაიმარჯვა ო. ივერსენმა, მეორე დისტანციაზე პირველი იყო გუტორმსენი — 4.38,6. ორი დისტანციის ჯამში გაიმარჯვა ბ. ტვეტერმა.

● კიშინიოვი, 19 ნოემბერი. ცნობილი რუსი გოლიათის ი. ზაიკინის ტრადიციულ მემორიალში 20 ქალაქის 140-ზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში პრიზი მოიპოვა „მოლდოვამ“. პირად ასპარეზობაში 5 ჯილდო დაიმსახურეს სტუმრებმა, დანარჩენში კი მასპინძლები პირველობდნენ.

● ბერლინი, 19 ნოემბერი. სეზონის პირველ საერთაშორისო შეჯიბრებაში აქაურ ხელოვნურ საციგურაოზე გამოვიდნენ გდრ-ის, პოლონეთისა და რუმინეთის სპორტსმენები. საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავდნენ დინამოელები. თავდაპირველად წარმატება მასპინძლებს ხვდათ: გდრ-ის ჩემპიონმა, 19 წლის რ. შლიაიერმახერმა გაიმარჯვა 3000 მეტრზე რბენაში — 5.18,1. ყველაზე პატარა დისტანციაზე, 500 მეტრზე გამარჯვებაც მას ხვდა — 46,7. ვაჟებიდან 3000 და 5000 მეტრზე რბოლაში საუკეთესო იყო ი. რუდოლფი (4.47,2 და 7.57,0).

● ლუბანსკი, 19 ნოემბერი. აქ მოეწყო ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ტურნირი. გამარჯვებული უმაღლესი ლიგის საგზურს იღებდა. შეჯიბრებაში გამოდიოდა 4 კოლექტივი — მოსკოვის „დინამო“, ლენინგრადის „სპარტაკი“, თბილისისა და მინსკის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელები. პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოველმა სპორტსმენებმა. ჩვენები მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

● კიევი, 19 ნოემბერი. უკრაინისა და პოლონეთის აკრობატთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 314,65:309,05.

16,49 | **16,84** | **17,23**



გმირული ბრძ
ეპოთეოზი

— რა მოგეწონათ ყველაზე მეტად მეხიკოში?

შეკითხვის გარეგნული ფორმა ზოგჯერ ასეც იცვლება:

— რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, ან რა დაგამახსოვრდათ მეხიკოდან ყველაზე მეტად?

ვინაიდან ამ და კიდევ სხვა შეკითხვებს ძირი ერთი აქვთ და ვინაიდან მათი ავტორების უმრავლესობა, როგორც წესი, ან სპორტის უანგარო მოყვარულია, ან მასთან დაახლოებული კაცი, ჩვენ ერთი შევარჩიეთ და ავტომატურად ვპასუხობთ:

— შთაბეჭდილება ბევრია. უცბად, სხვათა შორის, ყველაფერს ვერ იტყვი!

შთაბეჭდილება მართლაც უამრავია, მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდა მათი „კლასიფიკაცია“ და ახლა შეკითხვის ავტორებს შეიძლება კონკრეტული პასუხი გავცეთ.

მაშ ასე, რა მოგვეწონა მეხიკოში ყველაზე მეტად?

წმინდა სპორტული თვალსაზრისით ბრძოლისა და კეთილი ურთიერთობის სული, რომელსაც სხვათა შორის, სათუთად უფრთხილდებოდნენ ოლიმპიადის მახასიათებლებიცა და სპორტსმენებიც. დიახ, სპორტსმენებმა, ოლიმპიადის უშუალო მონაწილეებმა, შექმნეს მეხიკოში ატმოსფერო, რომელიც საფუძვლად დაედო XIX ოლიმპიადის განუმეორებელ თავისებურებას. ეს ზოგადად. კონკრეტულად კი მოგვეწონა ბრძოლის სიმძაფრე და დრამატიზმი სპორტის ყველა სახეობაში, პირველ ყოვლისა, მძლეოსნობაში.

მეხიკოს ოლიმპიადა „სპორტის დედოფლის“ ნამდვილი ბენეფისი იყო, ამ ბენეფისის გვირგვინი კი სამხტომელთა ასპარეზობა. ჩვენ ვნახეთ ბიმონის ლეგენდარული ნახტომი, სპრინტერ ვაუთა განუმეორებელი ფინალი და გუმელის მიერ ნატყორცნი ბირთვის ტრაექტორია. ყველაფერი ეს მართლაც დაუვიწყარი იყო. ჩვენს მეხსიერებაში არასდროს წაიშლება ბიმონის, ჰაინსის და გუმელის საშემსრულებლო ოსტატობა, ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მათი შედეგები თამამად გაივლიან დროის გამოცდას.

მაგრამ, ჩვენ, ამავე დროს, ვნახეთ ის, რასაც მექსიკელებმა მათთვის ჩვეული ექსპანსიურობით სპორტული ბრძოლის სიდიადე უწოდეს. დიახ, ჩვენ ვნახეთ პატიოსანი, ვაჟკაცური და დაუნდობელი სპორტული ბრძოლის ეპოთეოზი.

ეს მოხდა 17 ოქტომბერს, ზუსტად 5 საათზე მეხიკოს დროით. ჩვენმა თანამემამულემ, სოხუმელმა ვიქტორ სანეევმა შეასრულა ნახტომი, რომელმაც მას ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა, ხოლო მის მწვრთნელსა და აღმზრდელს ა. კერსელიანს, აუწერელი სიხარული, ასეთი იყო ამ მშრომელი და დაუღალავი წყვილის ოთხწლიანი ძიების ნაყოფი.

მანამდე კი... „ესტადიო ნაციონალესი“ ბობოქარი ზღვასავით ღელავდა: ის-ის იყო ყივოცკიმ ოქროს მედალი გამოგლიჯა კლიმს და მისივე ოლიმპიური რეკორდი გააუმჯობესა, რომ სამხტომელებმა აღმოსავლეთ ტრიბუნის გასწვრივ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყეს ოქროს მედლისთვის.

ჩვენ საკმაოდ მოშორებული ვიყავით ბრძოლის ველს, რადგან პრესის ლოჟა დასავლეთის ტრიბუნაზე, ზედ ფინ
ბილი. სწორედ
ვეთ პორტატიულ
რადაც იდუმალ

„მუუდროება“
ელმა ჯ. ჯენტილ
მელმაც პირველ
უმჯობესა პოლ
ოლიმპიური (16,
(17,08 მ) რეკორ
22 სანტიმეტრი
მა კომენტატორ
ლის საკითხი სამ
ტილად ჩათვალ
გორც ჩანს, მა
გამორჩათ ოლიმ
სპორტსმენთა გ
ბრძოლო სული,
იტალიელი ერთ
არ ითვლებოდ

მესამე ცდაზ
სანტიმეტრით გ
ლეს რეკორდი
ლთა ბრძოლას
აი, სწორედ მ
რომ სამხტომ
ურპარიზებისთვ
ლხით გაქედილ
ნალეს“. ფოტ
კინო და ტელეო
ექტივები მოაც
ქტორს, სარბ
აღმოსავლეთ ტ
რიეს.

... შმიდტი ჩ
თვის ბრძოლას
ლდა. იგი ძალ
უნდომებლად ხ
თი მისი ნახტომ
და 17 მეტრს) დ
ევთან საუბარ
ქოს მისი მწვ
დამრიგებელი ე
სოხუმელის რეკ
აუშალა ბრაზილ
პრუდენსიოს,
ბრაზილიის“ ა
სილვას პირდაპ
იჩნევენ სამშობ

პრუდენსიოს
ლისათვის საბრ
რომ შესწევდა,
ცხადი, როცა მ
სანტიმეტრი
ცდაზე პრუდენს
ქცეულ სტადიონ
ლი ტალღა შოტ





XIX ოლიმპიურ თამაშებზე მოგვითხრობენ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები **ნ. ბუბუშვილი** და **მ. ზარგარიანი.**

17,02 | **16,81** | **17,39**

...ის

ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი — 17 მეტრი და 27 სანტიმეტრი! ნუთუ ამის მერეც შეიცვლება რამე — რეკორდების ცხრილში? — კითხულობდნენ სახეგაბრწყინებული კომენტატორები და მზერას არ აშორებდნენ თვალცრემლიან ბრაზილიელს, რომელიც დახტოდა, იცინოდა და ყველას ეხვეოდა.

სანეევი კი იჯდა თავჩაქინდრული, მდუმარედ დაჰყურებდა მიწას და მხოლოდ ხანდახან, პასუხის მისაცემად თუ გაჰხედავდა შმიდტს. მაშინ იგი ოდნავ დაბნეულიც გვეჩვენა. აბა, რას ვიფიქრებდით, „რომ ვიქტორი სწორედ ამ დროს ემზადებოდა თავისი ოქროს ნახტომისთვის.

მერწმუნეთ, რომ ასეთ სპორტულ გმირობას რკინის ნერვები, უდიდესი თავდაჭერა და ვაჟკაცობა სჭირდება. ბრაზილიელს ბრძოლა უკვე დასრულებულად მიაჩნდა და ამიტომაც ზეიმობდა გამარჯვებას, ილებდა მილოცვებს. მაყურებელი ყველაფერ ამას ხედავდა და ისიც უნებლიედ უერთდებოდა გამარჯვებულის სიხარულს, მეტოქეები მოჯადოებულივით შეჰყურებდნენ ამ ნაადრევ ზეიმს და მალულად, ერთი მეორის მიყოლებით ურიგდებოდნენ მარცხს.

ალბათ ასე მოიქცეოდა ყველა, მაგრამ ახე არ მოიქცა სანეევი, რომელმაც აჯობა ყველას, აჯობა თავის თავს, დარჩენილ ერთ ცდაში დაიბრუნა მსოფლიოს რეკორდიცა და ოქროს მედალიც. 17 მეტრი და 39 სანტიმეტრი იმ გმირული ბრძოლის პოთეოზი იყო, რომელმაც უკვდავყო ვიქტორ სანეევის სახელი მსოფლიო სპორტის ისტორიაში.

* * *

აი, როგორ ამზადებდა ოლიმპიური ჩემპიონი სარეკორდო ნახტომს, როგორ ამზნევებდა ვიქტორს პოლონელი მეგობარი და მეტოქე შმიდტი და როგორ აღიარეს იგი თანაგუნდელებმა (გამარჯვებულს საზეიმო ჯილდოს გადასცემს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი).

შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონთან

გუშინწინ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრისა და საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექციის ინიციატივით ამ სახსოვარ ბლების აღსაზრდელებმა ინსტიტუტის საქტო დარბაზში შეხვედრა მოუწყვეს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მძლეოსანთა ტურნირის გმირს, მსოფლიოს რეკორდსმენს, სპორტის დაბსახურებულ ოსტატს ვ. სანეევსა და მის მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ა. კერსელიანს.

შეხვედრა გახსნა ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგემ, პროფკავშირული სპორტული სკოლის დირექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. იოსელიანმა. სტუმრებს მიესალმა კათედრის უფროსი მასწავლებელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლ. გიორგაძე. შემდეგ კერსელიანმა დამსწრეთ მოუთხრო მეხიკოს მძლეოსნურ ბატალიებზე, ილაპარაკა ხანეევის ბრძოლებზე, მის სპორტულ გზაზე.

სტუმრებს ინსტიტუტის სტუდენტთა სახელით მიესალმნენ საქართველოს ნაკრების წევრი, მძლეოსანი ი. სოვეტკინი, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრი ნ. ფარნაოძე. პროფკავშირული სპორტსკოლის აღსაზრდელებმა სანეევსა და კერსელიანს მიულოცეს ბრწყინვალე გამარჯვება და თაიგულები მიართვეს.

სანეევმა ილაპარაკა მეხიკოს შთაბეჭდილებებზე, მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და თქვა, რომ კულავაც იბრძოლებს საქართველოს სპორტულ ღირსებისთვის.

დასასრულს შეკრებილთ უჩვენეს სპორტული ფილმი.

დოდო გელაშვილი.

მეცხრე სერიის პასუხები

1. თბილისის „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა არქიტექტორ ა. ქურდიანის პროექტის მიხედვით დაიწყო 1933 წელს და დამთავრდა 1937 წელს. ამ სტადიონზე პირველი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა 1935 წლის 8 ნოემბერს ამერიკა-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის I და II ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვა I ნაკრებმა—2:1.

საკავშირო პირველობის გათამაშების („ვ“ კლასი) პირველი მატჩი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა 1936 წლის 24 მაისს თბილისის „ლოკომოტივსა“ და ბაქოს „სტროიტელს“ შორის. მატჩი დამთავრდა ბაქოელთა გამარჯვებით — 1:0.

თბილისის „დინამოს“ ოსტატმა ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე საკავშირო საგაზაფხულო პირველობის პირველი მატჩი (1936 წლის 30 მაისს) ჩაატარეს მოსკოვის „სტალინეცთან“ (0:0) „ბ“ კლასში.

საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი „ა“ კლასის გუნდებისთვის გაიმართა თბილისისა და კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის 1936 წლის საშემოდგომო პირველობაში 7 სექტემბერს და დამთავრდა ფრედ — 2:2.

2. შემთხვევა, როდესაც მნიშვნელოვან საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებაში ერთ-ერთმა მოკრივემ ერთ დღეს ოქროს 2 მედალი მოიხვეჭა, მოხდა სენტ-ლუისის 1904 წლის III ოლიმპიურ თამაშებში. ამერიკელმა მოკრივემ ო. კოორკმა ოქროს მედლები მოიპოვა მჩატე და ქვემსუბუქ წონებში (საქმე ისაა, რომ მაშინ ნებადართული იყო „საკუთარ“ და უფრო მაღალ წონით კატეგორიებში გამოსვლა).

3. ცნობილმა ავსტრიელმა მოთხილამურემ ანტონ ზაილერმა 1956 წელს, კორტინა დ'ამპეცოში, ზამთრის VII ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედლები დაისაკუთრა სამთო-სათხილამურო სპორტის სამივე სახეობაში. ზაილერს ოლიმპიურ მედლებთან ერთად გადაეცა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს სამი მედალი სამ სახეობაში გამარჯვებისთვის და ოქროს კიდევ ერთი მედალი მრავალჭიდში I ადგილის დაკავებისთვის. ზაილერმა კორტინა დ'ამპეცოში სულ 7 ოქროს მედალი მოიხვეჭა.

4. მოჭადრაკეთა ერთი წყვილია: მამა — იუგოსლავიელი დიდოსტატი მილან ვიდმარი (დაიბადა 1885 წელს, გარდაიცვალა 1962 წელს), შვილი — საერთაშორისო ოსტატი მილან ვიდმარ-უმცროსი (დაიბადა 1909 წელს); მოჭადრაკეთა მეორე წყვილია: დედა — დანიელი საერთაშორისო ოსტატი ინგრიდ ლარსენი (დაიბადა 1909 წელს), შვილი — დიდოსტატი ბენტ ლარსენი (დაიბადა 1935 წელს).

5. ძალოსნობაში მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდის მფლობელი პირველი ქართველი სპორტსმენია გიორგი ჩიკვაიძე. 1915 წელს კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, ქვემსუბუქი წონის ძალოსანმა ჩიკვაიძემ მსოფლიო რეკორდი დაამყარა ცალი ხელით აკვრაში. ეს შედეგი დღეისთვის მსოფლიო რეკორდების ცხრილში არაა აღნუსხული.

6. საბჭოთა ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტი ბურთი გატანილი აქვთ (იგულისხმება შესარჩევი ტურნირებიც): მსოფლიო ჩემპიონატებში — ვ. ივანოვს (9 ბურთი), ევროპის ჩემპიონატებში — ვ. პონედელნიკს (6 ბურთი), ხოლო ოლიმპიურ თამაშებში — ვ. ბობროვს (5 ბურთი).

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კონკურსის ზოგიერთი მონაწილე დაყრდნობია ფეხბურთის ცნობილი სტატისტიკოსის კ. ესენინის მცდარ მონაცემებს და ევროპის ჩემპიონატებში ყველაზე მეტი გოლის ავტორებად ასახელებენ ვ. პონედელნიკსა და ვ. ივანოვს (6-6 ბურთი). ეს შეცდომაა. 1964 წლის ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ მატჩში სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრებ გუნდებს შორის (გაიმართა მოსკოვში და დამთავრდა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით — 3:1) ბურთები გაიტანეს: პირველი — პონედელნიკმა (32-ე წ.), მეორე — ისევ პონედელნიკმა (56-ე წ.), ხოლო მესამე — ვ. ვორონინმა (83-ე წ.), და არა ვ. ივანოვმა. ერთადერთი საპასუხო ბურთი შვეიცელთა მხრიდან გაიტანა კ. ჰამრინმა (78-ე წ.).

7. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ქართველი მოცურავეები არიან: ლია ფაჩულია (1953 წ., თავისუფალი სტილით ამანათცურავა 4×100 მ, „დინამო“) და თინა ლეკვეიშვილი (1968 წ. 100 მ გულაღმა ცურვა).

8. ქალთა შორის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული პირველმა მოიპოვა ინგლისელმა ჩოგბურთელმა ო. კუპერმა. ეს მოხდა 1900 წელს, პარიზის II ოლიმპიურ თამაშებში. ამავე ოლიმპიადაზე კუპერმა მეორე ოქროს მედალი შერეულ თანრიგში მოიხვეჭა ლ. დოჰერტისთან ერთად.

9. საქართველოს ფრენბურთელები საბჭოთა კავშირის პირველობებში ჩაებნენ: ვაჟები — 1933 წლის I ჩემპიონატში (IV ადგილი), ქალები — 1935 წლის III ჩემპიონატში (IV ადგილი).

10. საკავშირო პირველობებში ერთ საფეხბურთო მატჩში გატანილი ყველაზე მეტი ბურთის (5-5 ბურთი) ავტორები არიან: ე. შელაგინი (1938 წ, ლენინგრადის „სპარტაკი“ — მოსკოვის „ბურევესტნიკი“ — 6:0), ი. დათუნაშვილი (1966 წ., თბილისის „დინამო“ — ერევნის „არარატი“ — 5:0) და გ. გავაშელი (1968 წ., თბილისის „დინამო“— კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 7:2).

* * *

კონკურსში დაწინაურებულთა გვარებს გამოვაქვეყნებთ ბოლო, X სერიის კითხვებთან ერთად სამშაბათს, 26 ნოემბერს.

ა. დ. შილოვი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 47 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრები გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ალექსანდრე შილოვი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1943 წელს იგი მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში. ომი რომ დამთავრდა, შილოვმა დემობილიზაციაზე უარი თქვა და სამხედრო სამსახურში დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ა. შილოვი იყო შესანიშნავი სპორტსმენი და ამხანაგი. პისტოლეტით სროლაში საქართველოს რვაგზის ჩემპიონი და მრავალგზის რეკორდსმენი, იგი სსრ კავშირის ხალხთა ოთხივე სპარტაკიადაში იცავდა საქართველოს გუნდის ღირსებას და თბილისში ოთხივეჯერ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა შეჯიბრების პრიზიორი, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის ნაკრების წევრი, კარგად უთავსებდა ერთმანეთს სპორტსა და სამსახურებრივ საქმიანობას, ამასთან, მუდამ პოულობდა დროს, რომ ახალგაზრდებისთვის გადაეცა თავისი ცოდნა და გამოცდილება.

შილოვს სპორტულ სარბიელზე მოპოვებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის კი იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

შესანიშნავი სპორტსმენის, კარგი აღმზრდელისა და სამშობლოს ერთგული შვილის ა. შილოვის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების გულში.

საქართველოს სასრულო სპორტის ფედერაცია.

საქართველოს ჯიუტველიგა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● **„სულორი“ (ვანი) — „მშენებელი“ (სიღნაღი) 1:0. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).**

მასპინძლებმა კარგად დაიწყეს თამაში და 36-ე წუთზე მიაღწიეს წარმატებას (ნიკოლაიშვილი). შემდგომში ინიციატივამ მთლიანად სიღნაღელთა მხარეს გადაინაცვლა, რომელთა თავდამსხმელებმა რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაამთავრეს შედეგიანად და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

● **„ლაითური“ (მახარაძის რაიონი) — „ისანი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი ლ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).**

● **„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 4:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

უკვე მე-3 წუთზე ფანცხავამ გაიტანა პირველი გოლი და მაშინვე კაპანაძემ ანგარიში გაზარდა 2:0-მდე. მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, ვინაიდან „მეტალურგი“ განაგრძობდა თავის საეხიფთო იერიშებს. მართლაც, გუნდმა შესვენების შემდეგ კიდევ 2-ჯერ მიაღწია წარმატებას.

● **„კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „არაგვი“ (მცხეთა) 4:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).**

სტუმრებმა მთელი მატჩი ღრმა დაცვაში გაატარეს და პირველი ტაიმი წაგებულ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით — 0:1. მეორე ნახევარში ბერულავამ და გახარიამ (ორჯერ) განამტკიცეს „კოლმეურნის“ გამარჯვება.

● **„სინათლე“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

ტაიმს შედეგი არ მოუცია, თუმცა „სინათლეს“ მცირე უპირატესობა ჰქონდა. თბილისელებმა საერთო ინიციატივის აღება შეძლეს შესვენების შემდეგ და აივაზოვმა ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა გორელთა კარში. მატჩის ბოლო წუთებზე „ქართლის“ მეკარის შეცდომა გამოიყენა სუხიშვილმა და სამამდე გაზარდა ანგარიში .

● **„კოლხეთი“ (ცხაკაია) — ახკ (თბილისი) 2:2. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).**

ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ამ ორი გუნდისთვის, არამედ, საერთოდ, გათამაშების ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა. ანგარიში მე-12 წუთზე გახსნა თბილისელმა ლობზევმა, რასაც მოჰყვა დარასელიას საპასუხო ბურთი — 1:1. ორმოცელები ერთხელ კიდევ დაწინაურდნენ მას შემდეგ, რაც „კოლხეთის“ ერთ-ერთმა მცველმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი. დამარცხების თავიდან აცილების მიზნით ცხაკაიელები მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე და ინჯგიამ იხსნა ქულა — 2:2.

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამცხე“ (ახალციხე) 4:3. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

როცა სტუდენტებმა მოიგეს პირველი ტაიმი ანგარიშით 2:0, ხოლო მეორე ნახევარში კიდევ 2 ბურთი გაიტანეს, შეხვედრის შედეგი თითქოს არ იწვევდა ეჭვს, მაგრამ მათ მოადუნეს ყურადღება და აწყურლებმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს. ანგარიშის გასათანაბრებლად „სამცხეს“ უბრალოდ არ ეყო დრო.

● **„ლოკომოტივი“ (სამტრედია) —„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 3:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

● **„სპარტაკი“ (ბორჯომი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 5:1. მსაჯი გ. გელაშვილი (ბორჯომი).**

აწყურის „სამცხემ“ გამოტოვებული თამაში მოუგო სიღნაღის „მშენებელს“ — 1:0. ყვარლის „დურუჯს“ გამარჯვება ჩაეთვალა გალის „აეროსთან“ შეხვედრაში.

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

II ზონა. „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი)—„სალხინო“ (ვეგეტკორი) 0:2, „განთიადი“ (აბაშა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — 1:2.

ახალციხეში ადგილობრივ „მესხეთთან“ სათამაშოდ არ ჩავიდა წულუკიძის „ფეიქარი“ და ამის შესახებ არც შეუტყობინებია რამე ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციისთვის. მართალია, წულუკიძელ ფეხბურთელებს დამარცხება ჩაეთვალათ, მაგრამ გაკიცხვის ღირსია მათი საქციელი, სადაა შოწინაღმდეგისადმი პატივისცემა, რომელიც პირველ წრეში თამაშობდა მათ მინდორზე!

არც ფოთის „კოლხეთმშენი“ გამოცხადდა თამაშზე ხობში, ხოლო ოჩამჩირის „დინამო“ — ადიგენში. ვფიქრობთ, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია იმსჯელებს ზემოაღნიშნულ გუნდებზე და შესაფერის ზომებსაც მიმართავს, რათა ეს გაკვეთილი იყოს სხვებისთვისაც.

ლოს-ანჯელესის ახლოს მდებარე პატარა ქალაქის გარდენ გროუს მცხოვრებლები მიჩვეული არიან ამ სანახაობას: ღრუბლებში გამოჩნდება მეორე მსოფლიო ომის დროის თვითმფრინავი, რომლის ფრთებზეც ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები ათასგვარ აკრობატულ ნომრებს ასრულებენ.

რა მიზანს ისახავს მფრინავ ტ. როუზის მიერ ორგანიზებული აკრობატული სკოლა?

თავის დროზე როუზი ფირმების დაკვეთითა და თვითმფრინავის დახმარებით რეკლამას უწევდა სხვადასხვა საქონელს და... პრეზიდენტობის კანდიდატებს. დღეს როუზი თავად ავარჯიშებს სპორტსმენ-აკრობატებს, რომლებიც სიცოცხლეს ყოველ წამს საფრთხეში აგდებენ რეკლამისთვის. თვითმფრინავი 300 მ სიმაღლეზე დაფრენს საათში 160 კილომეტრის სისწრაფით. ერთი უზუსტო მოძრაობა და... მაგრამ როუზს რეკლამისთვის კარგ ფულს აძლევენ... ჟურნალ „შტერნიდან“ გადმობეჭდილ ამ სურათზე თვენ ხედავთ ჯ. კაციანს, რომელიც „აკრობატიკით“ ერთობა.

ფოტო ეასს-ისა.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 19 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ახკ (თბილისი)	40	23	11	6	70—29	57
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	40	21	13	6	71—32	55
ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი)	38	20	12	6	68—36	52
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	40	18	16	6	53—28	52
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	40	18	12	10	63—55	48
„სინათლე“ (თბილისი)	36	20	7	9	52—29	47
„სულორი“ (ვანი)	41	19	8	14	49—37	46
„სპარტაკი“ (ბორჯომი)	40	16	12	12	56—45	44
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	41	15	12	14	45—47	42
„დურუჯი“ (ყვარელი)	40	13	14	13	56—43	40
„მშენებელი“ (სიღნაღი)	41	14	11	16	37—51	39
„ლაითური“ (მახარაძის რ-ნი)	40	13	12	15	35—34	38
„აერო“ (გალი)	41	12	14	15	40—46	38
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	41	14	9	18	52—64	37
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	40	14	8	18	41—53	36
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	41	10	13	18	35—56	33
„სამცხე“ (აწყური)	39	10	11	18	44—56	31
„ისანი“ (თბილისი)	39	11	9	19	29—46	31
„მესხეთი“ (ახალციხე)	38	9	12	17	29—45	30
„ქართლი“ (გორის რაიონი)	39	10	9	20	38—58	29
„გარეჯი“ (საგარეჯო)	38	8	9	21	32—63	25
„არაგვი“ (მცხეთა)	41	9	6	26	28—62	24



ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. 21 ნოემბერი. საერთაშორისო მატჩი. „დინამო“ (თბილისი) — თეირანის ნაკრები. დასაწყისი 15 ს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 11106